# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(251) 2021 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 1 ლარი

## წარდგინება



**კახეთის** ***სახელმწიფო რწმუნებულმა* ირაკლი შიოშვილმა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს ***მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი* - ავთანდილ გულიკაშვილი** წარუდგინა და საგარეჯოელებს დამაჯერებელი გამარჯვება მიულოცა.

***- ბატონი ავთო - უაღრესად კეთილშობილი და განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოებული პიროვნებაა, ამიტომ, მოლოდინი დიდია, რომ საგარეჯო გახდება ერთ-ერთი წარმატებული და მოწინავე მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში, —*** აღნიშნა ***ირაკლი შიოშვილმა.***



## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის მიმართვა:



**კიდევ** ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის. უდიდესი პასუხისმგებლობაა მშობლიური მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. მაქსიმალურად ვეცდები, რომ იმედები არ გაგიცრუოთ და ვიყო თითოეული მოქალაქის მერი.

წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებისას, დაწვრილებით გავეცანი მათ საჭიროებებს და ჩემს გუნდთან ერთად უკვე შევუდექი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას.

აქტიურად ჩავერთვები ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის განსახორციელებელ პროექტებში, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ სარეაბილიტაციო სამუშაოებით გამოწვეული შეფერხებები.

სასმელი წყლის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის სამუშაო პროცესს ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად გავუწევ მონიტორინგს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს სოფლის მეურნეობის მიმართულებით საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია. ამიტომ, აღნიშნული დარგის კიდევ უფრო განვითარებისთვის შევქმნით ხელსაყრელ გარემოს.

ახალგაზრდული სექტორის გაძლიერებისა და გააქტიურების მიზნით, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად დაიგეგმება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და არაფორმალური განათლების მისაღებად შეიქმნება სპეციალური სივრცეები.

გპირდებით, რომ აუცილებლად გავაგრძელებ მუშაობას მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში, გუნდურობით, საერთო მიზნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით ვიბრძოლებთ წარმატებული მომავლისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის, თითოეული მოქალაქის პრობლემის გადაჭრისა და გამოსწორებისთვის. არ შევუშინდებით კრიტიკას, რადგან ვინც ქმნის-ის იმსახურებს გარკვეულ შეფასებებს საზოგადოების მხრიდან და ჩვენ ნამდვილად ვიღწვით ძლიერი ოჯახების, ძლიერი სოფლის, ძლიერი მუნიციპალიტეტისა და ძლიერი სახელმწიფოს აღშენებისთვის!

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი: „საგარეჯოელებს იმედს არასდროს გავუცრუებ!“

(წინამდებარე ინტერვიუ დაიბეჭდა წინასაარჩევნო პერიოდში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ გამოშვებულ გაზეთში. ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის მისი გაცნობა)

*საგარეჯოს მერობისთვის მმართველი გუნდიდან ავთანდილ გულიკაშვილი იბრძვის. მუნიციპალიტეტში ბიზნესმენ ძმებ გულიკაშვილებს კარგად იცნობენ. პატივს სცემენ მათ მშობლებსაც.*

*ამბობს, რომ საგარეჯოში დაბადებულ-გაზრდილს, სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ამიტომაც გაატარა მთელი ცხოვრება აქ. ამბობს იმასაც, რომ მის მხარეში ბოლო პერიოდში უპრეცედენტო მნიშვნელობის პროექტები დაიწყო ან დაიგეგმა. სწორედ ეს განვითარების ტემპია იმის მიზეზი, რომ ბატონმა ავთანდილმა არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა - სურს, პროგრესში წვლილი თავადაც შეიტანოს.*

*საგარეჯოსთან დაკავშირებით გრძელვადიანი გეგმებიც აქვს, მაგრამ მანამდე, მუნიციპალიტეტში უნდა, რომ ყველა სოფელში იყოს გზა, წყალი და ახალგაზრდა თაობისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურა, არაფორმალური განათლებისა და კულტურული აქტივობის სივრცეები. ამბობს, რომ ტყუილად არავის არაფერს დაპირდება. მისი მთავარი გზავნილი კი, ესაა: - „შრომა არ მეზარება. საგარეჯოელების კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავად ვიშრომებ“.*

***— ბატონო ავთანდილ, მუნიციპალიტეტში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი და საგარეჯოში როგორი ბავშვობა გქონდათ?***

— საგარეჯოში ჩემს ოჯახსა და მშობლებს კარგად იცნობენ. მამა - შალვა გულიკაშვილი „გარეჯის“ მეურნეობაში, მიწათმომწყობად მუშაობდა. დედა - ნანა ჭაჭუკაშვილი კი 47 წლის განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს სამშობიაროში ბებიაქალად. მას საგარეჯოში ბევრი იცნობს, მისი ხელების სითბო არაერთ ახალშობილს შეუგრძვნია. მეც ქალაქ საგარეჯოში დავიბადე, გავიზარდე და მთელი ცხოვრება აქ გავატარე. სხვაგან არასდროს მიცხოვრია. ერთი ძმა მყავს- ზაზა გულიკაშვილი, რომელიც კერძო სექტორში საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობს. ძალიან ლაღი და საინტერესო ბავშვობა გვქონდა. ჩვენს სახლთან მდებარე სპორტულ მოედანზე, ხშირად ვთამაშობდით ფეხბურთს, კალათბურთს. ზოგჯერ, სხვადასხვა სკოლებისა და უბნების გუნდები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მე ბავშვობიდანვე მაღალი ვიყავი და კალათბურთში მეტად წარმატებული. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზო იყო ჩემი და ჩემი მეგობრების მოსასვენებელი

დასასრული მე-4 გვერდზე

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

**9 ნოემბერი, 2021 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულმა მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა*** თათბირის დასაწყისში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს თემებსა და ტერიტორიულ ორგანოებში მადლობა გადაუხადა იმ შემართებული საქმიანობისათვის, რასაც ისინი ბოლო პერიოდში სამუშაო ტემპის შემცირების გარეშე შეძლებისდაგვარად აგვარებენ ტერიტორიულ ორგანოებში არსებულ პრობლემებს, იქნება ეს ინფრასტრუქტურული თუ სხვა სფეროში არსებული. ამასთან, თითოეულ მათგანს შეახსენა სოფლებში შეხვედრების დროს მოქალაქეებისთვის პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით მის მიერ მიცემული დაპირებები და სათითაოდ, დაწვრილებით გამოიკითხა უკვე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის მდგომარეობა. როგორც მერის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებიდან აღმოჩნდა, უმეტეს სოფლებში უკვე დასასრულს უახლოვდება რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ბატონი ავთანდილის ინფორმაციით, მომავალ 2022 წელს უფრო ფართო სპექტრით გაიშლება მუშაობა მთელ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის ჩატარებული ღონისძიებებით, საამისოდ ქვეყნის მმართველი გუნდის წინაშე დღის წესრიგის პირველ ნომრად ქცეული პრობლემის მოსაგვარებლად ათეულობით მილიონი ლარი გამოიყო, მხოლოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 46 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვისაა გამიზნული. აღნიშნული პრობლემა აღარ იქნება მთის სოფლებიდან დაწყებული აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლებით დამთავრებული მოსახლეობისათვის.

წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ერთობ სავალალო მდგომარეობაშია სოფლებში არსებული ადმინისტრაციული შენობები, სადაც ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციასთან ერთად განთავსებულია საექიმო ამბულატორიები (კოჭბანი, უჯარმა, დიდი ჩაილური, ყანდაურა, მზისგული), ბიბლიოთეკები (კოჭბანი, უჯარმა, პატარძეული, ნინოწმინდა-წყაროსთავი, დიდი ჩაილური, კაკაბეთი).

ასევე, ზოგიერთ სოფელში საჭიროა გარე განათების სანათი წერტილების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ყუთების დამატება, ასევე, სანიაღვრე, წყალსაწრეტი არხების მოწყობა, მატერიალური ძეგლებისათვის ხელის შეშველება, სტიქიისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შეკეთება, მივიწყებული სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია, მგზავრთა მოსაცდელების, სასაფლაოებამდე გზების კეთილმოწყობა, ძველი, ამორტიზებული შენობების დემონტაჟი, სპორტული მინი მოედნების, სტადიონების, სკვერების მოწყობა, საბავშვო ბაღების ეზოებში ეზოს გასართობი სათამაშოების შეტანა... და ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იქნეს მომავალი წლის ბიუჯეტში და ნაწილობრივ, რისი ერთ თვეშიც გაკეთება შეიძლება, გაკეთდეს ორგანიზებულად, ხარისხიანად და მონიტორინგის დახმარებით.

თათბირზე ***მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ლალიაშვილმა*** კონკრეტული დავალებები მისცა ***მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს ბექა ფეიქრიშვილს*** და ***მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსს გიორგი ქურდოვანიძეს***.

როგორც ჩანს, მომავალ წელს უფრო მეტია საკეთებელი, უფრო მეტი ძალისხმევა და მონდომებაა საჭირო დღემდე კიდევ არსებულ;ი პრობლემების მოსაგვარებლად.





## „ინფრასტრუქტურა-2021“

### სოფელი უჯარმა

**წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, ა.ა.ი.პ. „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ მობილური ჯგუფის მიერ, სოფელ უჯარმაში, ე. წ. ზედა უბანში, სასმელი წყლის ცენტრალური - საკომუნიკაციო მილის ამოცვლისა და დაქსელვის სამუშაოები განხორციელდა.





## ქალაქი საგარეჯო

**პროგრამა** „განახლებული რეგიონები“- ს ფარგლებში, ქ. საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკები და ლითონის კონსტუქციის ჯებირები მოეწყო. შენობების ფასადის რეაბილიტაცია -კი გრძელდება.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამა - „განახლებული რეგიონები” საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, პროექტი 4 წლიანია და რეგიონების ურბანულ განახლებას ითვალისწინებს, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები ხორციელდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.



## სოფლის მეურნეობა

## „რთველი-2021“ დამთავრდა

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მეწვრეთა წლის ბარაქა

***უკვე სამ კვირაზე მეტია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზვრებში შეწყდა მერთვლეთა ხმაური. „რთველი-2021“-მა საბოლოოდ გამოიხურა კარი და მასთან ერთად დამთავრდა წლის მოსავლის მისაღებად ჩვენი მევენახეების შრომაც. იმის შესახებ, თუ რა შედეგით დამთავრდა მათი მთელი წლის გარჯა, ამაზე ჩვენი გაზეთის კითხვებს პასუხობენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის აგროინჟინერიის დოქტორი, „რთველი-2021“-ის ცენტრალური შტაბის წევრი ნიკო ჯავახიშვილი და ამ სამსახურის მთავარი სპეციალისტი გივი ათაბეგაშვილი.***

***– ბ-ნო გივი, როგორც სამსახურის სააღრიცხვო საქმიანობაში „ჩახედულ“ პირს, მინდა პირველი შეკითხვა თქვენ დაგისვათ. ალბათ გაქვთ სამსახურში სტატისტიკა, თუ მთლიანობაში რამდენი ყურძენი იქნა მიღებული წელს მუნიციპალიტეტში?***

– ჩვენი გამოთვლითა და მონაცემებით მუნიციპალიტეტში წელს წარმოებული ყურძნის ოდენობა 42 000 ტონას აჭარბებს.

***– აღნიშნული რაოდენობიდან ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში რამდენი ტონა ყურძენია ჩაბარებული?***

– სულ, ყურძნის მიღებაზე მუნიციპალიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ მომუშავე პირველად ქარხნებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეების მიერ წელს ჩაბარებულია მთლიანობაში 30089 ტონა ყურძენი, რაც ფულად გამოსახულებაში 34 702117 ლარს შეადგენს. აქვე, ალბათ დაგაინტერესებთ ყურძნის ჯიშების მიხედვით ჩაბარებული მოსავლის რაოდენობაც. კერძოდ, „რქაწითელი“ ჩაბარებულია 19808 ტონა, რაც ფულად გამოსახულებაში 18919 000 ლარს შეადგენს. „საფერავი“ ჩაბარდა 8218 ტონა, ანუ 13380124 ლარის, „კახური მწვანე“ – 1478 ტონა (1 მილიონ 857872ლ), სხვა ჯიშები 585 ტონა – 545036 ლარის.

***– მევენახეები, მოსახლეობა, ფერმერები ყუძრენს პირადი მოხმარებისათვისაც დაიტოვებდნენ...***

– რა თქმა უნდა! მათ მიერ პირადი მოხმარებისათვის თუ კერძო ბაზარზე რეალიზებული ყურძნის რაოდენობა დაახლოებით 12000 ტონის ფარგლებშია.

***– თუ გახსოვთ, შარშან რთველში რამდენი ყურძენი იყო ჩაბარებული მუნიციპალიტეტიდან პირველად გადამამუშავებელ ქარხნებში?***

– შარშან მუნიციპალიტეტიდან ამ ქარხნებს ჩაბარდა 27475 ტონა ყურძენი, ანუ 28100269 ლარის პროდუქცია. ისე, რომ წელს მუნიციპალიტეტში შარშანდელზე გაცილებით მეტი ყურძენია მიღებული და ჩაბარებული. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, ჩაბარებულია 2614 ტონით, ფულად გამოსახულებაში 6602000 ლარამდე მეტი ყურძენი.

***– ბატონო ნიკო, რა ფართობი ეკავა წელს მუნიციპალიტეტში მსხმოიარე ვენახებს და გივი ათაბეგაშვილის თქმით, ზემოხსენებულ წარმატებაში უფრო მეტი როლი ინტენსიურ თუ ექსტენციურ ფაქტორებს – ვენახების ფართობების ზრდას მიუძღვის, თუ მევენახეთა შრომის ფაქტორს?***

– მიმდინარე წლისათვის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში აღრიცხულია 5430 ჰექტარი ვენახი, საიდანაც მსხმოიარეა 4500 ჰქტარი, ახალშენი – 930 ჰექტარი. ყურძნის ასეთი უხვი მოსავლის მიღების საქმეში, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი მსხმოიარე ვენახების ფართობების ზრდასაც მიუძღვის, მაგრამ უმთავრესი მაინც ის შრომა და გარჯაა, რაც მევენახეებმა გასწიეს ყურძნის დღევანდელი მოსავლის მისაღებად. ამ საყოველთაო პანდემიისა და შხამქიმიკატებზე გაზრდილი ფასების მიუხედავად, მათ ყველაფერი გააკეთეს თავიანთი წლის მოსავლის გადასარჩენად და სასურველ შედეგებსაც მიაღწიეს.

***– აქვე ალბათ გასათვალისწინებელია ხელსაყრელი სამუშაო ამინდების პირობებიც, რომლებიც ხელს უწყობდა მათ საქმიანობას და თუ არ ჩავთვლით რთვლის მიწურულს მოსულ ხანგრძლივ წვიმებს, რომლებმაც საგრძნობლად დააზიანა ყურძენი და შეაფერხა ყურძნის კრეფას, უნდა ითქვას, რომ მევენახეებს წელს კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით ნაკლები „პრეტენზიები“ ჰქონიათ...***



– კლიმატურ პირობებზე, რომლებზედაც დიდწილად დამოკიდებულია ვენახებში ამა თუ იმ დაავადებათა გავრცელება, წელს ჩვენს მევენახეებს დასამდური ნამდვილად არ ჰქონიათ, თუმცა სექტემბრის ბოლოს მოსულმა წვიმებმა, რომლებიც 30 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე გაგრძელდა, შეაფერხა ყურძნის კრეფის მიმდინარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამის გამო გაიზარდა ყურძენზე მოთხოვნა კერძო ბაზარზე და მისმა ფასებმა 90 თეთრიდან 1.20-1.30 ლარამდე აიწია. ამის შედეგად სხვა წლებთან შედარებით სხვადასხვა რეგიონებიდან შემოსულ პირებზე გაცილებით მეტი რაოდენობის ყურძენი გაიყიდა.

***– წლევანდელი „რთველი-2021“-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ ყურძნის ჩამბარებლებს გავლილი ჰქონოდათ ვენახების კადასტრი, რომლის სამუშაობიც მუნიციპალიტეტში რთვლის დაწყებამდე 2-3 თვით ადრე დაიწყო. როგორ იყო დაცული ეს მოთხოვნა ყურძნის ჩაბარების პროცესში?***

– მევენახე ფერმერებისა და კერძო მევენახეების ვენახების კადასტრის გასავლელად მუნიციპალიტეტში და ყველა იმ ტერიტორიულ ორგანოში, სადაც მოსახლეობა მისდევს მევენახეობას, მთელი ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური და შეუფერხებელი მუშაობა, რომ ეს სამუშაოები რთვლის დაწყებამდე მოესწროთ. დიდ ტერიტორიულ ორგანოებში კი ერთის ნაცვლად, 2-3 კადასტრის ოპერატორიც მუშაობდა, კვირაში ექვსდღიანი დატვირთვით, ზოგან კი კვირა – უქმე დღეებშიც კი. ამის შედეგად, ვენახების კადასტრი მუნიციპალიტეტში მთლიანობაში გაიარა მევენახეთა 80%-ზე მეტმა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რთვლის გამარტივებულ და მაღალორგანიზაციურ დონეზე ჩატარების საქმეს.

***– ცნობილი ფაქტია, რომ რთველი კახეთიდან იწყება ხოლმე და წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის მევენახეთა უმეტესობამ „საფერავი“ კახეთის ღვინის ქარხნებს ჩააბარა, „რქაწითელის“ ჯიშის ყურძენი კი საგარეჯოში მოქმედ ღვინის ქარხნებს. თქვენ, როგორც „რთველი-2021“-ის ცენტრალური შტაბის წევრს, გეცოდინებათ, რომელია ეს ქარხნები და როგორი იყო ამ ჯიშის ყურძენზე შესასყიდი ფასები?***

– წელს მოსახლეობიდან და ფერმერებიდან ყურძნის შესყიდვას აწარმოებდნენ ნინოწმინდაში მოქმედი ქარხანა „კახეთი-3000“, საგარეჯოში – „საამო“, მანავში – კახური ტრადიციული მეღვინეობის ქარხანა KTW და ბადიაურში ორ დღეს ყურძენს იბარებდა შპს „მოსავლის მართვის კომპანია“. იგივე კომპანია იბარებდა ყურძენს საგარეჯოში. რქაწითელზე შესასყიდი ფასები, როგორც ადრე იყო დაანონსებული სახელმწიფო სუბსიდიით იყო 90 თეთრი.

***– სახელმწიფო სუბსიდირება ახსენეთ, რომელ ქარხნებს შეეხო წელს იგი?***

– ყველა იმ ყურძნის გადამამუშავებელ ქარხანას, ვინც მიიღო და გადაამუშავა 100 ტონაზე მეტი ყურძენი.

***– საფერავზე შესასყიდი ფასები როგორ გამოიყურებოდა წელს?***

– რთვლის დაწყებიდან ფასები საფერავზე იყო 1,50 ლარი, შემდგომ კი თანდათან მოიმატა და 2.0-ს მიაღწია.

***– რთვლის მიმდინარეობისას რაიმე არსებითი სახის შეფერხებები თუ იყო და საერთოდ, როგორ შეაფასებდით მის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტში?***

– თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ ზემოხსენებულ 30 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის პერიოდში მოსულ წვიმებს, „რთველი-2021“-ის მიმდინარეობაში რაიმე არსებითი სახის შეფერხებები არ გვქონია. ეს კი შედეგია იმ დიდი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რაც ჩვენი ხელისუფლების მიერ წინასწარ იქნა ჩატარებული მუნიციპალიტეტში. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩვენს მუნიციპალიტეტზე მომაგრებულ თანამშრომლებს ზურაბ ასათიანს და მიხეილ გრიშიკაშვილს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს რთვლის მაღალორგანიზაციულ დონეზე და საამისოდ, ვენახების კადასტრის დროულად და ხარისხიანად ჩასატარებლად. „რთველი-2021“-ის მიმდინარეობაში აქტიურად იყო ჩართული და დიდ დახმარებას გვიწევდა მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებთან მუშაობის განყოფილების გამგე ივანე ფანოზიშვილი. შექების ღირსნი არიან შიბლიანის, მზისგულის, ყანდაურის, ბადიაურის, ვერხვიანის, კაკაბეთის, პატარა და დიდი ჩაილურების, მანავის, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, საგარეჯოს, ნინოწმინდის, წყაროსთავის, ხაშმის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები. როგორც ზემოთაც ვახსენე, საუკეთესოდ იმუშავეს კადასტრის ოპერატორებმა და ყველაფერი ეს შედეგია იმ დიდი ყურადღებისა და დახმარებისა, რაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გამოიჩინა წლევანდელ რთველში, როცა გვერდში დაუდგა სეტყვით დაზარალებული კახეთის მოსახლეობას დასეტყვილი ყურძნის ჩაბარებისა და მთლიანად რთვლის მიმდინარეობის პროცესში, ბოლოს კი სეტყვის შედეგად დაზიანებული ყურძნის ჩაბარებაში. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მუნიციპალიტეტში ყურძნის შესყიდვაზე მომუშავე ქარხნების და მათი პერსონალის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის შესახებ, რომლებიც გვიანობამდე, სრული დატვირთვით მუშაობდნენ ქარხნებში მიტანილი ყურძნის მიღება-გადამუშავებაზე.

***– რამდენადაც ვიცი, როგორც „რთველი-2021“-ის შტაბის წევრსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს არც თქვენ გქონიათ წყნარი სამუშაო დღის გრაფიკი...***

– რთველი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები იმდენად რთული და შრომატევადი საქმეა, რომ ამ დროს ამ საქმეში ჩაბმულ ადამიანებს ერთი წუთითაც არ აქვთ მოცალეობა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვიწევს ზემდგომი ორგანოებიდან თუ ყურძნის ჩამბარებლებიდან შემოსული ათასობით ზარზე პასუხის გაცემა და სათანადო რეაგირების მოხდენა. არის შემთხვევა, რომ, ერთსა და იმავე საკითხზე ერთი მევენახე ერთხელ კი არა, მეათედ გირეკავს და პასუხის გაცემასაც ვერ ასწრებ, რომ ახლა მეორე რეკავს და ასე გრძელდება გათენებიდან დაღამებამდე. ამას ემატება ყოველდღიური და კვირეული ინფორმაციების შედგენა-მიწოდება მთლიანად მუნიციპალიტეტსა და მის ცალკეულ ტერიტორიულ ორგანოებში რთვლის მიმდინარეობის შესახებ – სად რამდენი ყურძენი ჩაბარდა ქარხნებს, რამდენი დარჩა კიდევ მოსაკრეფი და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს არის მეტად რთული, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე, მაგრამ ერთგვარად საამაყოც, იმის გამო, რომ შენც შეგაქვს შენი მცირეოდენი წვლილი საერთო საქმის წინსვლაში, ხელს უწვდი და ეხმარები შენს თანამემამულეებს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, საბოლოოდ კი წლის დოვლათის დაბინავებასა და ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. ხომ ცნობილია, ძლიერი გლეხი და ძლიერი სოფელი ეს ძლიერი ქვეყანააო და ამ საქმეში ჩვენი პატარა წვლილის შეტანა ყველა ჩვენთაგანის ვალია.

***ესაუბრა***

*გივი ღაბახიშვილი*

## რეგულაციები

## „Covid-19“-ით გამოწვეული პანდემიის გამო

**საკოორდინაციო** საბჭოს გადაწყვეტილებით, 200-ლარიან ერთჯერად საპენსიო დანამატს მიიღებს თითოეული პენსიონერი, რომელიც ვაქცინაციას 2022 წლის 1-ელ იანვრამდე ჩაიტარებს; დანამატი გაიცემა პირველი აცრის გაკეთების შემდეგ.

ამასთან, 1-ლი დეკემბრიდან ამოქმედდება ე.წ „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ პრინციპით შეძლებენ შესვლას: კვების ობიექტების, რესტორნების, კაფეების და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და ასევე სამთო კურორტების - საბაგირო გზებზე; აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ჩამოთვლილი ობიექტების სტუმრებზე. რაც შეეხება საბავშვო-გასართობ ცენტრებს, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს მხოლოდ 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეებისთვის.

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, კიდევ უფრო აქტიური გახდება იმუნიზაციის კამპანია და საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება ვაქცინაციის სააგიტაციო ღონისძიებები.

---

## სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში

**10 ნოემბერს** 24 საათის განმავლობაში აცრილია 6976 ადამიანი, დაინფიცირებულია – 5751, გარდაცვლილია – 78.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ 10 თვეში 6767 შემთხვევა შეადგინა.

---

## როგორ შეიძლება დავიცვათ თავი და სხვები COVID-19-საგან?

**დაინფიცირების** პრევენციისათვის თქვენ და თქვენს ოჯახს შეგიძლიათ სხვადასხვა ზომების გატარება, მათ შორის:

ხელები იბანეთ ხშირად, საპნითა და წყლით, ან გაიწმინდეთ სპირტიანი სითხით.

მოერიდეთ სახეზე შეხებას, განსაკუთრებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე.

დაცემინების ან დახველების შემთხვევაში, პირზე და ცხვირზე მიიფარეთ მოხრილი იდაყვი ან ხელსახოცი. გამოყენებული ქაღალდის ხელსახოცი მაშინვე გადააგდეთ.

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტს. დაიჭირეთ უსაფრთხო დისტანცია ადამიანისაგან, ვისაც გაციების ან გრიპის მსგავსი სიმპტომები აქვს.

მოერიდეთ ხელის ჩამორთმევას, გადახვევას ან გადაკოცნას. მოერიდეთ საკვების, დანა-ჩანგლის, ჭიქებისა და პირსახოცების საზიაროდ გამოყენებას.

გაწმინდეთ და დეზინფექცია ჩაუტარეთ იმ ზედაპირებს, რომლებსაც ხშირად ეხებიან, მათ შორის, ტელეფონებს, კარების სახელურებს, სინათლის ჩამრთველს/გამომრთველს, დისტანციური მართვის პულტს და მაგიდის ზედაპირებს.

დარჩით სახლში, თუ შეუძლოდ გრძნობთ თავს, თუნდაც სუსტი ცხელების ან ხველის შემთხვევაში.

გაიკეთეთ პირბადე, თუ ახველებთ ან აცემინებთ, ან თუ უვლით პირს, რომელსაც შესაძლოა COVID-19 ჰქონდეს. ჯანდაცვის მუშაკებმა უნდა ატარონ სამედიცინო პირბადეები.

**დასასრული**

სივრცე, სადაც ერთმანეთს მოსაზრებებს ვუზიარებდით. დღემდე მიყვარს ეს ადგილი, სადაც ჩემი ტკბილი მოგონებები სახლობს.

***— ბიჭებს მშობლები მკაცრად გზრდიდნენ და თქვენ აღზრდაში დედა უფრო აქტიურად იყო ჩართული თუ მამა?***

- აღზრდაში ორივე აქტიურად მონაწილეობდა. ზომიერად მკაცრები იყვნენ. საღამოს მამა რომ მოვიდოდა, აუცილებლად უნდა ჩაგვებარებინა გაკვეთილები. უმეტესად მომზადებული ვხვდებოდი. მამის დიდი რიდი მქონდა და ყოველთვის ვცდილობდი ნასწავლი დავხვედროდი. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყვით და ეს დამოკიდებულება ურთიერთობას გვიადვილებდა.

აუცილებლდ უნდა აღვნიშნო მამაჩემის დედის-ოლა შიოლაშვილის უდიდესი წვლილი ჩემი და ჩემი ძმის აღზრდაში. ოლა ბებო რამდენიმე ათეული წელი საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა და მისი გამოზრდილი თაობები ყოველთვის სიყვარულით იხსენებდნენ.

***- დედა სამედიცინოზე ჩაბარებას არ გირჩევდათ და არ უნდოდა ექიმი გამოსულიყავით?***

- დედას ძალიან უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი მისწრაფება ეს არ გახლდათ. მთელი ცხოვრება თეთრი ხალათით ვხედავდი და არასდროს მიფიქრია, მეც იგივე პროფესია ამერჩია. მე უფრო სოფლის მეურნეობა მიტაცებდა და იმიტომ გავხდი აგრო-ინჟინერი. ალბათ ეს ფაქტორი შორეულმა ბავშვობამც განპირობა -მამას საოჯახო საქმიანობაში ხშირად ვეხმარებოდი. დილიდან, მამასთან ერთად ვიწყებდით პირუტყვის მოვლას, ბაღ-ვენახის საქმეებშიც ჩართული ვიყავით მე და ჩემი ძმა. ალბათ მამას დამსახურებაა, რომ დღემდე არ გვეზარება შრომა.

***- სპეციალობით აგროინჟინერმა უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა ოპერატიულ სამსახურში რატომ დაიწყეთ?***

- სტუდენტობა ძალიან ცუდ დროს მომიწია. ქვეყანაში არეულობა იყო. სხვათაშორის, პატარა ასაკის ვიყავი, მაგრამ ეროვნული მოძრაობის დროს, აქციებში ვმონაწილეობდი. თუმცა, პოლიტიკურად არასდროს მიაქტიურია და არც არასდროს შევსულვარ რომელიმე პარტიაში, მაგრამ ყოვლთვის მქონდა იმის სურვილი, რომ ჩემი ქვეყნის სტაბილურობასა და წარმატებაში შემეტანა წვლილი, როგორც კი მომეცა შანსი სწავლის დასრულების შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს რაიგანყოფილებაში, ოპერატიულ სამსახურში დავიწყე მუშაობა. იმ ეტაპზე ასე გახდა საჭირო - სადაც ჩემს ქვეყანას დავჭირდებოდი, იქ უნდა ვყოფილიყავი. გარკვეული პერიოდი, თბილისის მეტროპოლიტენში, მომარაგების განყოფილების უფროსის მოვალეობას ვასრულებდი. ჩემი ძმა მაშინ უკვე კერძო სექტორში იყო და 2006 წლიდან, მეც გადავწყვიტე, რომ მე ჩემს პროფესიაში მეცადა ძალები და კერძო სექტორში გადავინაცვლე. მას შემდეგ სულ ჩემი სპეციალობით ვიმუშავე - საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის გენერალური დირექტორი ვიყავი. 4 კაცით დავიწყეთ საქმე და დღეს 100-ზე მეტი ადგილობრივი გვყავს დასაქმებული.

***— როგორი ბიზნესგარემოა დღეს საქართველოში და ხელისუფლებისგან ხელშეწყობა თუ გაქვთ?***

— დღეს ბიზნესექტორისთვის ნამდვილად ხელსაყრელი გარემოა იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდი მხარდაჭერაა ამ მიმართულების განსავითარებლად. „შეღავათიანი აგრო კრედიტი“, „აწარმოე საქართველოს“ პროგრამები სოფლის მეურნეობის მხრდამჭერი პროგრამები. სახელმწიფო პროგრამამ საგარეჯოშიც გამოიღო უკვე შედეგი. აქ ახალი არაერთი ფერმაა, რაც ძალიან მიხარია. ზოგადად, რეგიონებში და კონკრეტულად, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ძალიან დიდი წინსვლაა. ქვეყანა აშკარად მიდის განვითარების გზით და საგარეჯოშიც ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტია. რეგიონების, განსაკუთრებულად კი ჩვენი მხარის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პერსპექტივა, სოფლის მეურნეობის განვითარებაა. მიხარია, რომ ამ სფეროს, გლეხს, ფერმერს დღეს სათანადო ყურადღება ექცევა.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

## ავთანდილ გულიკაშვილი:

# „საგარეჯოელებს იმედს არასდროს გავუცრუებ!“

***— ხელისუფლებამ წლევანდელი რთვლის სუბსიდირება მოახდინა. თქვენი აზრით, ესეც გლეხის ინტერესების გათვალისწინებით გადადგმული ნაბიჯია?***

— დიახ და ამით მოსახლეობა კმაყოფილია. პანდემიის პირობებში სუბსიდიის გარეშე გლეხს ძალიან გაუჭირდებოდა. შემოსავლის გარეშე დარჩებოდა, რომ არა ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება.

***- რადგან პანდემია ვახსენეთ, რამდენად ეფექტური იყო მისი მართვა და გამარჯვების შემთხვევაში, ვაქცინაციის პროპაგანდისტი თუ იქნებით?***

- პანდემიამ ძალიან ბევრი მიმართულებით გააჩინა ახალი გამოწვევები. ვფიქრობ, ხელისუფლებამ, მედპერსონალმა ამ უხილავ მტერთან ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს და მართვა ეფექტური იყო. თუმცა, ბევრი რამ პირადად ადამიანებზე და მათ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. აუცილებლად უნდა დავიცვათ რეგულაციები და ჩავიტროთ ვაქცინაცია. სხვა გამოსავალი, ჯერ-ჯერობით არ გვაქვს. ჩემი ოჯახის ყველა წევრი სრულად ვაქცინირებულია. იმუნიზაცია არის უალტერნატივო გადარჩენის გზა კოვიდ-19-თნ ბრძოლაში. აუცილებლად აქტიურად ჩავერთვები ვაქცინაციის კამპანიაში. ახლაც, შეხვედრებისას მუდმივად ვაჟღერებ ამ გზავნილებს მოსახლეობასთან.

***- პანდემიამ ახალი გამოწვევის წინაშე ტურიზმიც დააყენა. საგარეჯოს თუ აქვს ტურიზმის განვითარების პოტენციალი და თუ წესრიგდება მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურა?***

— ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს: მუნიციპალიტეტმა მიიღოს, რაც შეიძლება

მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. ტურიზმის პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის სახელმწიფოს პროგრესის გაუმჯობესება და თავისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, საგარეჯოში, როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის, 2020 წელს დაიწყო მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა, დავით გარეჯის მონასტერთან მისასვლელი 40 კმ-მდე გზა სრულად დაიფარა ასფალტო-ბეტონის საფარით. პროექტის საშუალებით მოხდება უკვე არსებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფეროს გაფართოება. გაიზრდება ქალბატონების ფუნქცია და როლი-ტრადიციული ქართული კერძებისა და რეწვის ნიმუშების პრეზენტაციისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. ჩემი მიზანია, ხელი შევუწყო ინფრასტრუქტურის განვითარებას ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

***- ამბობთ, რომ მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. რა შეიცვალა საგარეჯოში ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ?***

- საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის წინაშე მდგარი რთული ამოცანების გამო საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ირიგაციის ინფრასტრუქტურის აღდგენას. ამ გადაწყვეტილების მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ინფარსტრუქტურის განვითარებას მეურნეობების ეფექტური ფუნქციონირებასა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის.

მსოფლიო ბანკის დაფინასებითა და ხელშეწყობით საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში პრიორიტეტული სარწყავი ქსელების მეორე, მესამე და მეოთხე რიგის არხების რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციის სამუშაოები განახორციელა.

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას, ისეთ სოფლებში დაიგო ასფალტისსაფარიანი გზა, წარმოდგენაც რომ არ შეგვეძლო. პეტრე-პავლეს სახელობის და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებთან ასასვლელი გზებზე, რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო . გარდა ამისა, ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის ტურისტულად სტრატეგიულ ლოკაციებზე მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

ე.წ. „სადგურის დასახლებაში“, სადაც 1980-იან წლებშიც კი ვერ მოხერხდა გზის მოწესრიგება, ამჟამად იქ სარეაბილიტაციო სამუშაობი მიმდინარეობს და მალე ადგილობრივები ახალი გზით ისარგებლებენ. დაწყებულია წყალმომარაგების საკომუნიკციო ქსელის გაყვანა და გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს ისეთ სოფლებში, სადაც ბუნებრივი აირი შეყვანილი არ იყო. მაგალითად, გომბორში, უჯარმაში...

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აშენდა ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები და მინი სტადიონები.

საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებას სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, აშენდა რამდენიმე ახალი სკოლა და ბაღი.

***- ამდენი განხორციელებული პროექტის ფონზე, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საგარეჯო და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?***

- ჩემი გეგმაა წყლის საკითხი ბოლომდე მოგვარდეს. ისე, რომ ყველა სოფელში, ყველა ოჯახში იყოს მუდმივი, ხარისხიანი წყალმომარაგება. სადაც არ არის შიდა გზები მოწესრიგებული, აუცილებლად უნდა მოვაწესრიგოთ. მოკლედ, ჩემი პრიორიტეტია, ყველა სოფელს ჰქონდეს წყალი და გზა. ასევე, ძალიან მინდა, უფრო და უფრო მეტი პატარა საწარმო გაიხსნას. ადამიანებს მაქსიმალურად მივაწვდი ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ. კარგი იქნება, მაგალითად, სოფელ უდაბნოში, რძის შემკრები პუნქტი გაკეთდეს, სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან, ყველის, კარაქის, სულგუნის წარმოებას დაიწყებენ. გომბორშიც შეიძლება მსგავსი პროექტის განხორციელება და ზოგადად, ყველა იმ სოფელში, სადაც მესაქონლეობა არის განვითარებული. გარდა ამისა, ჩემი პრიორიტეტი იქნება ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათი აქტიური ჩართვა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და მათი საჭიროებების განსაზღვრა. კულტურის სახლის, როგორც მუნიციპალიტეტის კულტურული ცენტრის სტატუსის მინიჭება და რეაბილიტაცია ერთ-ერთი ჩემი მთავარი მიზანია. საგარეჯოს არაერთი ცნობილი ხელოვანი გამოუზრდია და ამ ადამიანებს შესაფერისი გარემო უნდა შევუქმნათ, რათა ისევ აქტიურად განაგრძონ ახალი სპექტაკლებისა და სანახაობების შექმნა და ერთგული მაყურებლის დაბრუნება. სულ 2 მუზეუმი გვაქვს საგარეჯოში-მხაეთმცოდნეობისა და გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმი. ამ სივრცეებს მეტი ფუნქცია უნდა შევძინოთ, უნდა ვაქციოთ საგანმანათლებლო კერებად. სოფელ ხაშმში , დიდი მწერლის - რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმის აშენებაზეც უნდა ვიზრუნო. საგარეჯო სპორტის ფალავნების და ჩემპიონების სამშობლოა, ამიტომ, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა ადმინისტაციულ ერთეულში უნდა განხორციელდეს, რათა ხელი შევუწყოთ ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების წესს და სპორტული აქტივობით დავაკავოთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა.

კარგი იქნება სხვადასხვა დასასვენებელი სივრცის მოწყობა. ამ მიმართულებით აუცილებლად ვიაქტიურებ. ყურადღებას მივაქცევ განათლებასაც. რამდენიმე საბავშვო ბაღის აღსაზრდელის მშობლები ეზოების კეთილმოწყობას ითხოვენ. ყველა სოფლის საჭიროებებს გავეცნობი და ვეცდები, შეძლებისდაგვარად დავუდგე მათ გვერდით. დარწმუნებული ვარ, გუნდის მხრიდან მხარდაჭერაც მექნება, რადგან „ქართული ოცნება“ სწორედ ასეთი პოლიტიკური პარტიაა - ხალხს ყოველთვის უსმენს და ცდილობს გეგმები მათი საჭიროებებიდან, მათი ინტერესებიდან გამომდინარე დასახოს.

ამიტომ, გუნდური მუშაობით, საერთო მიზნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით ვიბრძოლებ ხალხის წარმატებული მომავლისთვის, კეთილდღეობისთვის, თითოეული მოქალაქის პრობლემის გადაჭრისა და გამოსწორებისთვის. არ შევუშინდები კრიტიკას, რადგან ვინც ქმნის-ის იმსახურებს გარკვეულ შეფასებებს საზოგადოების მხრიდან და მზად ვარ ნამდვილად ვიღვაწო ძლიერი ოჯახების, ძლიერი სოფლის, ძლიერი რაიონისა და ძლიერი სახელმწიფოს აღშენებისთვის! ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, დახმარება გაეწია სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ასეულობით ადგილობრივ მოსახლეს, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს საჭიროებები-მაგალითად, სასმელი წყლის საკითხი, რომელიც მთავარი და პრიორიტეტულია. ამიტომ, აქტიურად ჩავერთვები უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით სახელმწიფოს მიერ, უკვე დაწყებულ მასშტაბური პროექტების განხორციელება-მონიტორინგში, რათა დროულად გადავჭრათ აღნიშნული პრობლემა. მუდმივად გავმართავ მოსახლეობასთან გეგმიურ შეხვედრებს, ადგილზე გავეცნობი მათ პრობლემებს და თავად ვაკონტროლებ შეხვედრისას დასახელებული საჭიროებების გადაჭრის ეტაპებსა და შედეგებს. აქტიურად გავაგრძელებ მუშაობას მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საერთო ეკონომიკური ფონის გაძლიერების მიზნით, აქტიურად დავიწყებ მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რათა ხელი შევუწყოთ ადგილობრივ ბიზნესს.

***- ესაა მიზეზი, რის გამოც დღეს „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?***

- „ქართული ოცნების“ პარტიის მიერ გაცხადებული გეგმები და პრიორიტეტები ჩემთვის მისაღები აღმოჩნდა , შემდეგ კი, თვალნათლივ დავინახე ხელისუფლების დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ. სხვა თუ არაფერი, ჩემთვის, ბიზნესმენისთვის, ეს საკმარისი იყო, რომ ამ გუნდისთვის მხარი დამეჭირა ყველა არჩევნებში. წლების განმავლობაში მმართველმა პარტიამ იმედები არ გაგვიცრუა. მეტიც, ყველაფერი გააკეთა ქვეყნის განვითარებისთვის. ეს კი, იმდენად ისტორიული პროცესია, შეუძლებელია მასში მონაწილეობის სურვილი არ გაგიჩნდეს. მითუმეტეს, როცა გუნდი ნდობას გიცხადებს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

***- ფიქრობთ, 2 ოქტომბრის შემდეგ ამ პასუხისმგებლობის აღება მოგიწევთ?***

- დიახ. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ საგარეჯოელები მხარს დაუჭერენ. ჩემს გამარჯვებაშიც დარწმუნებული ვარ, თანაც - პირველივე ტურში. ამას ხალხთან შეხვედრებისას ვგრძნობ. მათ გულწრფელად ვუხსნი, რომ ეტაპობრივად ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენი მოვალეობაა და რაც შეგვეძლება. შრომა არასდროს დამზარებია. დღედაღამ ვიშრომებ საგარეჯოელების კეთილდღეობისთვის. ამომრჩეველს ტყუილად არაფერს ვპირდები. მოსახლეობის განწყობა ასეთია - მათ ჩემი იმედი აქვთ და საგარეჯოელებს იმედს არასდროს გავუცრუებ!

## ინტერვიუ

### მშობლები შვილების შესახებ

# შვილები ახალი გამოწვევების წინაშე

***ჩაიარა მუნიციპალიტეტის მერის არჩევნების ვნებათაღელვამ. გაიმარჯვა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა ავთანდილ გულიკაშვილმა. ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგან მას მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში სულ მცირე 10-20 ადამიანი მაინც იცნობდა როგორც ყურადღებიან, გულისხმიერ, კაცთმოყვარე, ქველმოქმედ და გაჭირვებულისთვის ხელისგამმართავ ადამიანს. ამიტომაც ხვდებოდა მოსახლეობა თბილად და იმედით, რომ ის დამსახურებულად ხმათა უმეტესობას მოიპოვებდა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში დაწყებულ ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტებს კვლავ წარმატებით გააგრძელებდა...***

***2 ოქტომბერს კი ამის იმედი და რწმენა კიდევ უფრო გაუძლიერდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.***

***...ავთანდილ გულიკაშვილი საგარეჯოელია. ერთი შეხედვით ერთ ჩვეულებრივ, ქართულ ოჯახში დაბადებულ-გაზრდილი, თავადაც ქართული, ტრადიციული ოჯახის უფროსი. ჰყავს მეუღლე — ირმა ოთარაშ-***



***ვილი, რომელიც 17 წლის განმავლობაში საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა, შვილები — ნინო, 23 წლის, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, შალვა — მეთორმეტეკლასელი. ავთანდილის დედა ნანა ჭაჭუკაშვილი, მამა — შალვა გულიკაშვილი საგარეჯოში, ბარათაშვილის ქუჩაზე ცხოვრობენ და აი, ნოემბრის ერთ წვიმიან დღეს მათ სახლში ვეწვიე. ეზოში ულამაზესი, თეთრი და სხვადასხვა ფერის ვარდები ისე ყვავიან, თითქოს მაისის მზიან დღეებს ეკეკლუცებიან. დაძახილზე ქალბატონი ნანა გამოდის და სიხარულით მეპატიჟება სახლში, რამდენი წელია ერთმანეთი არ გვინახავს... შალვაც თითქმის ოვაციით მხვდება, უხარიათ, უხარიათ ჩემი დანახვა, — მე ხომ მათი ახალგაზრდობის, მათი სიყვარულის, მათი შვილების დაბადების და აღზრდის მომსწრე და თვითმხილველი ვარ...***

***— ჩვენ ერთმანეთს უკვე მეორედ ვხვდებით, გხვდებით როგორც რესპოდენტებს, თუმცა თქვენმა ბავშვობამ, ჩემმა ბავშვობამ და შემდეგ თქვენი შვილების, შვილიშვილების ბავშვობამ ერთ ძალიან ლამაზ და თბილ უბანში გაირბინა. 2008 წელს ჩვენ საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინ გვქონდა ინტერვიუ. იმ ინტერვიუს შემდეგ უამრავმა ადამიანმა მითხრა, ზაზას ვიცნობდით როგორც კარგ ადამიანს, თბილს, ყურადღებიანს, მაგრამ თუ ნანა ჭაჭუკაშვილის და შალვა გულიკაშვილის შვილი იყო, არ ვიცოდით, გაზეთიდან შევიტყვეთო. იმ პერიოდში ზაზას გვერდით ყოველთვის იდგა ავთო — ულალატო, იმედიანი, დიდი სითბოთი და ნაღდი, ჭეშმარიტი, კაცური გულით. იმ წლებში ბევრმა ახლოს გაიცნო ორივე და ავთოს მიმართ უფრო მეტი სიმპათიები გაჩნდა — მას უმცროსუფროსობა არც არასოდეს შეშლია. დღეს ავთანდილ (ავთო) გულიკაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, გილოცავთ, მან მოსახლეობიდან, ამომრჩევლების 62%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი. მოდით, კიდევ ერთხელ გავაცნოთ თქვენი ოჯახი ჩვენი გაზეთის მკითხველს. მოგვიყევით, როგორ, როდის შექმენით ოჯახი?***

**ნანა ჭაჭუკაშვილი:**

— მეც და ჩემი მეუღლეც — შალვა საგარეჯოელები ვართ. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით. მე და დედაჩემი ვენახში



მივდიოდით, შალვა თურმე მაშინდელი მელიორაციის შენობის წინ იდგა (მელიორაციის მმართველის მძღოლი იყო, კახეთის, ჭავჭავაძის და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე იყო მაშინ საგარეჯოს მელიორაციის ადმინისტრაციული ლამაზი შენობა). იმ დღიდან დაუქადნია შალვას გულში... მე თბილისის №3 სამედიცინო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. მოხდა ისე, რომ ჩემს თანაკურსელებს დაუახლოვდა, და ნდობაც მოიპოვა, როგორც მძღოლმა. და ერთ დღესაც, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად თბილისიდან საგარეჯოს ნაცვლად ნათესავებთან — უჯარმაში ამიყვანა...

1964 წლის იანვრის დასაწყისში შევქმენით ოჯახი. გგონიათ მაპატიებდა ლექციების გაცდენას? ახლაც მეცინება — ზოგჯერ კონსპექტს თავად აკეთებდა, თავადვე მოჰქონდა. მეოთხე კურსის სექტემბერში ჩვენი პირმშო ზაზა დაიბადა. ზაზა ჩემი სტუდენტობის შვილია. დასაწყისიდან დედაჩემი — თამარ გრატიაშვილი, საგარეჯოს რაისაავადმყოფოს მედიცინის და ზრდიდა, შემდეგ კი ჩემი დედამთილი — ოლია შიოლაშვილი, საგარეჯოს ბაგა-ბაღში, მაშინ „მაკროს ბაღს“ ეძახდნენ, იქ მუშაობდა ძიძად და შემდეგ ის მეხმარებოდა. ჩემმა მეუღლემ სწავლა ქ. ცელინოგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე დაიწყო და მიწათმოწყობისა და არხების მშენებლობის ფაკულტეტი დაამთავრა. „გარეჯის“ მეძროხეობის კომპლექსში მუშაობდა მიწათმომწყობად, შემდეგ კი ქალაქის მერიაში — იქაც მიწათმომწყობად. 1967 წელს აკაკი დაიბადა, 26 დეკემბერს, მაგრამ 12 წელი ვერ შეუსრულდა...

1972 წლის 15 მარტს კი ავთანდილია დაბადებული. მე საგარეჯოს რაისავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში ბებიაქთნად ვიმუშავე 47 წელი...

***— ალბათ რამდენი მშობიარობა მიგიღიათ, რამდენ შეწუხებულ, აფორიაქებულ მშობიარესთან ერთად გაგითენებიათ ღამე... მაშინ შობადობაც მაღალი იყო...***

— გეთანხმებით, შობადობა მართლაც მაღალი იყო. ერთ წელიწადს იანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ მარტო მე იმ წელიწადს 150 ახალშობილი მყავდა მიღებული. რაც შეეხება მშობიარეებს, სულ ვეფერებოდი, ვცდილობდი სამშობიარო ტკივილების შემსუბუქებას, ამასთან, გულისფანცქალით ველოდებოდი — ვინ დაიბადებოდა, როგორი? მე ვიყავი ახალშობილის ხელში ამყვანი და ყოველთვის ვლოცავდი: ბედნიერი იყავი, ჯანმრთელი გაიზარდე, კარგი მომავალი გქონდეს, ღმერთმა დაგლოცოს-მეთქი. აი, ჩემი მეზობლის შვილები, შვილიშვილები სულ ჩემი „მიღებულები“ არიან და სხვანაირი სიყვარულით მიყვარს ისინი, ზოგი უკვე შვილიშვილის პატრონიცაა... რამდენჯერ შემხვედრია ქუჩაში დედა-შვილი და უთქვამს, აი, თქვენი დალოცვილი, ჩემთან ერთად რომ ელოდი, რამხელა გაიზარდა-ო. შეიძლება მავანს გაეცინოს, მაგრამ ყველა ძალიან მიყვარს, ყველას დაბადებაც კი მახსენდება. თუნდაც, მერობის კანდიდატი ეკა ქვლივიძე, ჩემი მორიგეობის დროს დაიბადა, პირველად ხელში მე ავიყვანე...

***— მართლაც საპასუხისმგებლო სამსახური გქონდათ. შეხვიდოდით განყოფილებაში, სამშობიარო ბლოკში და გარეთ რა ხდებოდა, არც იცოდით, იქნებ წვიმა და თოვლიც ვერ შეგემჩნიათ. გარე სამყაროს მოწყვეტილი, მაშინ ვაჟების დედობაც, ალბათ ძნელი იყო...***

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმხელა პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, დილის 9 საათზე ჩვენ „პოსტზე“ უნდა ვყოფილიყავით, ერთობ მკაცრი შინაგანაწესი გვქონდა. ბიჭებზე ვნერვიულობდი, მაგრამ იცით რა მამშვიდებდა?! ჩემს შვილებს მამა-პაპაბებია, დედაჩემი, ჩემი მაზლი ყურადღებას არ მოაკლებდა. თანაც, შალვა მართალია, ძალიან თბილი მამაა, მაგრამ გაკვეთილებს თუ არ ჩაიბარებდა, ისე მეორე დღეს სკოლაში არ გაუშვებდა შვილებს... ამ საკითხში ძალიან მკაცრი იყო. შალვა კარგი ხელოსანი იყო ბავშვობიდან. იქნებ არც დაიჯეროთ და შალვას გაკეთებულია ეს სახლი, საკუთარი ხელით გააკეთა აი, მეორე სართულზე ასასვლელი კიბეც კი. სულ შრომაში იყო და გვერდით ედგნენ შვილებიც — ხელებდაკაპიწებულები, დაუზარელები, ინტერესიანები...

***— რას იტყვით, თქვენი აზრით, რა არის მთავარი, ადამიანმა შვილი როგორ უნდა აღზარდოს, რომ ცხოვრების გზაზე საგზლად კაცურკაცობა, ადამიანობა გაატანოთ?***



და-ძმა ნინო და შალვა

— თავად უნდა ვიყოთ ადამიანურები, ქრისტიანები, შემწყნარებლები, მიმტევებლები. უპირველესად, შვილი შრომას უნდა მივაჩვიოთ, მან პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს თავის და გარშემომყოფების მიმართაც. ზემოთაც ვთქვი საუბარში, შალვა შვილებს გვერდში ამოიყენებდა ხოლმე და მათ არც ვენახში შრომა ეზარებოდათ, არც მშენებლობაზე „ხელოსანი“ მამის „მუშად“ ყოფნა. IX-X კლასებში სწავლობდნენ და მამას დაჰყვებოდნენ. მათ კალოზეც უმუშავიათ ხორბლისა და ქერის მიღება-დაბინავებაზე, რწყვაშიც მიუღიათ მონაწილეობა და შრომადღეებიც „ეწერებოდათ“. მახსოვს, ზაზამ პირველი ხელფასით ახალმოდური (მაშინდელი) რადიო იყიდა, რომელიც ახლა თავის სახლში ანტიკვარად და სამახსოვროდ აქვს. ავთომ კი პირველი ხელფასით მაგნიტოფონი იყიდა. ისიც ახლა ანტიკვარია. აიღებდნენ ბიჭები მთელი ზაფხულის ხელფასს და მე და ჩემს დედამთილს



თბილისის უნივერმაღში სასექტემბრო ტანსაცმლის შესაძენად მიგვყავდა ისინი (იცინის)... როცა კალოზე, ვენახში, რწყვაზე მუშაობდნენ, მათ უხდებოდათ ასაკიან ადამიანებთან ურთიერთობა, უსმენდნენ მათ საუბრებს, მათ გასაჭირს, მათი შრომის დაფასება-დაუფასებლობას, ყალიბდებოდნენ სხვების დამხმარეებად, რადგან მაშინ საბჭოთა მეურნეობაში ასაკიანი, პენსიონერები მუშაობდნენ, რომლებსაც ზოგჯერ ხელის წახმარებაც ესაჭიროებოდათ. ამ ურთიერთობებმა ბევრი რამ ასწავლა ჩემს შვილებს, მათ შრომა, ფიზიკური მუშაობა არასოდეს დაზარებიათ და არც შერცხვენიათ...

***— თქვენმა ოჯახმა, თქვენმა შვილებმა ბავშვობაში დიდი ტკივილი განიცადა. 11 წლის ასაკში აკაკი, თქვენი შუათანა ვაჟი ტრაგიკულად დაიღუპა. მაშინ მთელმა საგარეჯომ დაიტირა და თანაგიგრძნოთ, ყველამ საკუთარ ტკივილად აღიქვა საგარეჯოელთათვის საყვარელი ოჯახის ტრაგედია. ეს ტკივილი მოჰყვებათ თქვენს შვილებს და ძალზედ ებრალებათ შვილმკვდარი და დედმამიშვილგარდაცვლილი ადამიანები...***

— ეს ტკივილი ვიცი, არც განელებიათ, მაგრამ მშობლებთან კარგად ნიღბავენ. აკაკი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში თამაშობდა და ტრაგიკულად დამთავრდა მისი თამაში. მაშინ აკაკი 11 წლისა იყო, ზაზა — 15 წლის, ავთო — 7 წლის. იმდენად დიდი იყო კაცების ტკივილი, რომ აკაკის საფლავი მამამ და ძმებმა გააკეთეს თავიდან-ბოლომდე, თითქოს სხვას ვერ ანდეს... ასეა, როცა ადამიანს ყველაზე მეტად სტკივა რაღაც, ის სხვას უფრო მეტად თანაუგრძნობს ტკივილსა და გასაჭირში.

***— რა განცდები, განწყობა გქონდათ, როცა გაიგეთ — ავთო მუნიციპალიტეტის მერის მომავალ არჩევნებში მთავარი ფიგურა იქნებოდა....***

— რა გითხრათ, არ ვიცოდი, ჩემი ნაცნობები, ნათესავები მირეკავდნენ. ტელეფონით გავიგე, რომ საქმე მართლაც სერიოზული იყო — განცდები მოგვეძალა მეც და შალვასაც. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდით, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ავთოს ჩვენი რაიონის მოსახლეობა ადრიდანვე იცნობდა, როცა ზაზა პარლამენტის წევრი იყო და ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ავთო ყოველთვის მის გვერდით იყო, დღიდან საარჩევნო მარათონის დაწყებისა, დეპუტატობის ბოლო დღემდე კი არა, ის დღესაც გრძელდება — ყველას ეხმარებოდა, ყველას გვერდში ედგა. ავთოს ისედაც მთელი რაიონის მოსახლეობას იცნობდა, რადგან პოლიციაში მუშაობდა, შრომის სტაჟიც იქიდან დაიწყო.

განცდები იყო, მაგრამ ღმერთს ვთხოვ, ჩემს შვილს შეაძლებინოს მუშაობის ისე აწყობა, რომ ჩვენს რაიონში ყველა პრობლემა მოგვარებულიყოს, ყველა მოსახლეს ჰქონდეს შემოსავალი, სასმელი წყალი, კიდევ უფრო კეთილმოეწყოს გზები, ქუჩები, ყველა სოფელში იყოს ღამის განათება, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, იყოს მშენებლობა და აღმშენებლობა.

№21(251) 2021 წელი, 1-15 ნოემბერი

## „კაცად მაშინ ხარ საქები“

# გოგლა: „პატარძეულელობა პროფესიაა...“

**გაზეთის ამ ნომრიდან რუბრიკის „კაცად მაშინ ხარ საქები!“ ქვეშ დაიბეჭდება საგაზეთო სტატია იმ ადამიანების შესახებ, ვისაც გული შესტკივა თავის სოფელზე (ქალაქზე), ხელგაუკაპიწებული, ფიზიკური შრომით, გონიერი დარიგებით, ახალგაზრდობის გვერდში დგომით ცდილობს სულ უმნიშვნელო პრობლემის მოგვარებას. უმნიშვნელო, მაგრამ მაინც რაღაც დოზით თავისი, საკუთარი წვლილი შეაქვს საერთო საქმის კეთილად დაწყება-დამთავრებაში. დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ასეთ პიროვნებასთან, პატარძეულელ სანდრო უსტიაშვილთან. სანდრო დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტია.**



- თავდაპირველად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მთელ რედაქციას დიდი მადლობა გადაგიხადოთ. წლების განმავლობაში, მართლაც ღირსეულად დგახართ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, მისი თითოეული სოფლის, მთლიანად - მოსახლეობის სამსახურში. ეს მისაბაძი და დასაფასებელია.

დიდი მადლობა, რომ გაზეთის ახალი რუბრიკის პირველ სტუმრად შემარჩიეთ. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ეჭვგარეშეა, ამ რუბრიკის მეშვეობით ბევრ საინტერესო რესპონდენტს გაიცნობს საზოგადოება. დიდ წარმატებებს გისურვებთ.

***– ბიძგი, რომელიც სოფლის სასიკეთო საქმეებში ჩართვისაკენ გიბიძგებს...***

- ბუნებრივია, ჩვენი საუბრის წამყვანი საკითხია, თუ რა მაძლევს ბიძგს - აქტიურად ვიყო ჩართული ჩემი მშობლიური სოფლის, პატარძეულის ცხოვრებაში. პირველ ყოვლისა, ეს არის ჩემი მთავარი პრინციპი: „სამშობლო არის არა განყენებული, არამედ კონკრეტული მოვლენა და ის ჩვენს საერთო, დიდ ოჯახს წარმოადგენს“. ოჯახს კი ზრუნვა სჭირდება. მე არასოდეს ვეთანხმებოდი ზოგიერთი ადამიანის მოსაზრებას, რომ ქვეყანაზე ზრუნვა მხოლოდ ხელისუფლების მოვალეობაა. სამშობლოს მიმართ ყველა ადამიანს აქვს თავისი მოვალეობები, რადგან თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ საკუთარი მშობლები არ გვზრდიან. სამშობლო გვზრდის და გვაყალიბებს.

***– პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდ როლს მშობლების შემდეგ პედაგოგები ასრულებენ. პედაგოგი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თქვენს პიროვნებაში...***

- ჩემს პიროვნებაში ამ პრინციპის ჩამოყალიბებაზე ბევრმა გარემოებამ მოახდინა გავლენა. თქვენ მკითხეთ, თუ ამ კუთხით ჩემი მასწავლებლებიდან რომელს გამოვარჩევდი. ზოგადად, პედაგოგებს ორ კატეგორიად ვყოფ: დიდი მასწავლებლები და უშუალო მასწავლებლები. ჩემს დიდ მასწავლებლებად მიმაჩნია: ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და გოგლა ლეონიძე. უშუალო პედაგოგებიდან გამოვარჩევდი აწ განსვენებულ თამარ ხუროშვილს. მე-10 კლასში სწავლისას, მის მიერ მოთხრობილმა ისტორიებმა მომცა მოტივაცია, ღრმად დავფიქრებულიყავი, რა არის სამშობლო.

***– რას ნიშნავს სანდრო უსტიაშვილისთვის ქართველობა?***

– პირადად ჩემთვის ქართველობა მხოლოდ ეროვნებას არ ნიშნავს. ადამიანისთვის დიდი ღვთის წყალობაა, როდესაც ქართველად იბადება. ქართველობა სულიერი მისიაა. ეს ძალიან დიდი თემაა და ნამდვილად სცდება ჩვენი ინტერვიუს ფარგლებს.

***– რას იტყვით, რა არის თქვენთვის იყო პატარძეულელი?***

- რა არის ჩემთვის პატარძეულელობა? - ერთხელ გოგლამ თქვა: თბილისელობა პროფესიააო. თბილისელობა სხვა ფენომენია, ახლა ამას არ ჩავუღრმავდები. თუმცა, თავად გოგლას ცხოვრების წესიც მეტყველებდა იმაზე, რომ პატარძეულელობა პროფესიაა. როგორც უკვე მოგეხსენებათ, ჩემი თანასოფლელების დახმარებით შევადგინე გამოჩენილ პატარძეულელთა საკმაოდ მოზრდილი სია. ალბათ, სფერო და დარგი არ დარჩა, სადაც ამ სოფელში დაბადებულმა ადამიანებმა თავიანთი განსაკუთრებული სიტყვა არ თქვეს. მათ ბიოგრაფიებს რომ ვაკვირდები, იცით, რას ვაფიქსირებ? ამ მიწაზე გაზრდილი ადამიანები მაქსიმალისტები არიან: დიდი გული და ძლიერი ამბიცია აქვთ; არჩეულ ასპარეზზე მიდიან შეუპოვრად. ათასჯერ რომ წაიქცნენ, მაინც წამოდგებიან და კვლავ წინ მიდიან. რაღაც ძლიერი შინაგანი მუხტით გამოირჩევიან. შიში და უკან დახევა არ იციან.

***– როგორ ამიხსნი, რას ნიშნავს სიტყვა ტერმინად ქცეული “კაცი“?***

– ესეც ძალიან კარგი კითხვაა: მართლაც, რას ნიშნავს ტერმინი „კაცი“? მოგეხსენებათ, ეს სიტყვა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ქართულ ლიტერატურასა და სააზროვნო სივრცეში პირველად ილია ჭავჭავაძემ დააყენა. სხვათა შორის, ხშირად უშვებენ ხოლმე ასეთ შეცდომას: ვინმეს ღირსების აღსანიშნავად ამბობენ - კაცური კაციაო. აქ მინდა დავაზუსტო: შეფასება - კაცი პიროვნების განვითარების მაღალ დონეს გულისხმობს და მას კაცურის დამატება აღარ სჭირდება. კაცობა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს პასუხისმგებლობის და ღირებულზე ზრუნვის მაღალ დონეს.

***– სოფლისადმი სიყვარული, ზრუნვა სასიკეთო საქმეების კეთებისთვის დღენიადაგ ფიქრი და გარჯა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა...***

- მხოლოდ სამშობლოსადმი სიყვარული და ბრწყინვალე მასწავლებლების ფაქტორი არ განაპირობებს ჩემს აქტიურობას სოფელში. ამას განაპირობებს ასევე 3 მიზეზი: 1) იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2014 წლიდან, ხელისუფლება (აქ ვგულისხმობ როგორც ცენტრალურს, ისე რეგიონულსა და ადგილობრივს) ბევრს აკეთებს ჩვენი სოფლისთვის, პრობლემები მაინც საკმაოდ რჩება. აქ საუბარია არა მხოლოდ საუბნო, არამედ კონკრეტულ ოჯახებსა თუ ადამიანებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის პრობლემაზე. მათი ეფექტურად გადაჭრისთვის ძალიან ბევრი შრომაა საჭირო. 2) პატარძეულს საკმაოდ სერიოზული პოტენციალი გააჩნია განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული საკითხების, ეკონომიკისა თუ ტურიზმის თვალსაზრისით. იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ ამ პოტენციალის ათვისება და განვითარება, ჯერ საჭიროა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. 3) ჩვენს მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში კარგად უნდა ჩამოყალიბდეს იმის შინაგანი კულტურაც და შესაბამისი პრაქტიკული უნარჩვევებიც, რომ რაც შეგიძლია შენ გააკეთო, გააკეთე, ნუ დაუწყებ ლოდინს „დამატებით სამაშველო რგოლებს“. არაერთ პატარძეულელს უთქვამს ჩემთვის: აბა, მაგისთვის რომ დავიწყო ბრძოლა, მე ვინ მეკითხებაო? მინდა, ასეთმა ადამიანებმა შეისისხლხორცონ, რომ პირველ რიგში სწორედ მათ ეკითხებათ სოფლის დღევანდელობაც და ხვალინდელი დღეც! ჩემი დიდი სურვილია, მათ საკუთარი თავის რწმენა და აქტიურობის სურვილი გაუჩნდეთ.

***– რა ფაქტორმა განაპირობა ქალაქიდან მშობლიურ ფესვებთან – პატარძეულში დაბრუნება?***

- თქვენი ეს შეკითხვა არ გამკვირვებია, რადგან ბევრს უკითხავს: თბილისში 24 წლიანი ცხოვრების შემდეგ რატომ დავბრუნდი მშობლიურ რაიონში. ამ ფაქტს თავისი განმაპირობებელი მიზეზები აქვს: 1998 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ტელე-რადიო ჟურნალისტის სპეციალობით. ასევე დავამთავრე ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სპეციალობათა ფაკულტეტი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვერაფრით გავექეცი პატარძეულისთვის დამახასიათებელ თვისებას - მაქსიმალიზმს: ვიმუშავე ტელევიზიაშიც, რადიოშიც, პრესაშიც, საინფორმაციო სააგენტოებშიც და პრესსამსახურებშიც. შემდეგ იყო არასამთავრობო სექტორი, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ისე სხვა მიმართულებებითაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ მაწუხებდა ერთი საკითხი: როდესაც ვმუშაობდი ამა თუ იმ საზოგადოებრივ პრობლემაზე, მის გადასაჭრელად ბოლოს მაინც ხელისუფლების ამა თუ იმ სტრუქტურის ჩარევა ხდებოდა საჭირო. ამან მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მე თვითონ დამეწყო მუშაობა სახელისუფლებო სტრუქტურაში და პრობლემის მქონე ადამიანებს ამ გზით მივხმარებოდი. ასე მოვხვდი საგარეჯოს გამგეობაში 2016 წელს. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ ყოფილა: ჩემი სიცოცხლის ბოლომდე მადლობელი ვიქნები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებლის, ბატონი გიორგი გზირიშვილის, რომელმაც მანდო გამგეობის ახლად დარეგისტრირებული სტრუქტურული ერთეულის, შპს „საგარეჯოს“ აწყობა და მართვა. ბატონი გიორგის თანადგომით ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოვახერხეთ. ამასთან, ის პერიოდი ჩემთვის დიდი სკოლა იყო. 2019 წლის სექტემბრიდან დღემდე კი მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში ვმუშაობ. სიმართლე გითხრათ, სიხარულით მივდივარ ხოლმე მერიაში, რადგან ჩვენი სამსახური მართლა პროფესიონალი, საქმის ერთგული და საოცრად გულთბილი ადამიანებით არის დაკომპლექტებული.



***– ავირჩიეთ მუნიციპალიტეტის მერი, თქვენ, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და ამ სტრუქტურაში მომუშავე, საჯარო მოხელე, რას მოელით სამომავლოდ პატარძეულის საკეთილდღეოდ?***

- დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ზუსტად და დროულად დამისვით იგი. ახალი მერის არჩევას და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დაწყებას ვუყურებ იმედიანად. ამის საფუძველს მაძლევს თავად ბატონი ავთო გულიკაშვილის მაღალი შინაგანი კულტურა, აბსოლუტურად ჩამოყალიბებული საქმიანი ხასიათი, გულისხმიერება და საუკეთესო პიროვნული თვისებები. სასწაულად დაუზარელი და ყურადღებიანი ადამიანია. ასეთ პიროვნებებთან თანამშრომლობა ყოველთვის იძლევა შედეგს და ეფექტს. მერიის მუშაობა ხომ, უპირველეს ყოვლისა, შედეგსა და ხარისხზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ასევე დიდი სიამოვნებით გიპასუხებთ კითხვაზე, თუ სამომავლოდ რას ვგეგმავთ და რის გაკეთების სურვილი გვაქვს პატარძეულში: სანამ გეგმებზე ვისაუბრებდე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი სოფლის მოსახლეობის სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს და ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, რომელთა უშუალო ძალისხმევით ხორციელდება უწყვეტი წყალმომარაგების მართლა საშვილიშვილო პროექტი. დიდი სურვილი გვაქვს, მოხერხდეს ჩვენი კულტურის სახლის რეაბილიტაცია. ამ თემაზე უკვე მქონდა საუბარი რამდენიმე შესაბამისი თანამდებობის პირთან. მუშაობას ვაპირებთ დასავლეთის მხრიდან სოფლის შემოსასვლელში მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მოწყობაზეც. ძალიან მიხარია, რომ პატარძეულელები დიდ ყურადღებას უთმობენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. ვმუშაობ აგრეთვე ახალგაზრდების საზოგადოებრივად გააქტიურების საკითხზე. მოგეხსენებათ, ხელისუფლება საკმაო ძალისხმევას და დაფინანსებას ახმარს ახალგაზრდობის აქტიურობისა და მათი კომპლექსური განვითარების საკითხს. ამას გარდა, პატარძეულში შერჩეული გვაქვს ადგილი, სადაც სკვერის მოწყობას ვაპირებთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მერიის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ვთანამშრომლობ ისეთ დიდ ეკოლოგიურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: CENN, REC-CAUCASUS da KRDF. ჩვენ არაერთ ტრენინგსა და შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა, რომლებიც მსოფლიოს №1 პრობლემას - კლიმატის ცვლილებებს ეხებოდა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემების ეტაპობრივი დაძლევაა.

***დიდი მადლობა, რომ მომეცით საშუალება - თქვენი გაზეთის მეშვეობით საზოგადოებისთვის მეთქვა: ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ვიზრუნოთ ჩვენს უბნებზე, ჩვენს სოფლებზე, ჩვენს რაიონსა და ეს იქნება ზრუნვა ჩვენს ქვეყანაზე.***

***ყველასთვის საყვარელ გაზეთს „გარეჯის მაცნეს“ წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებ!***



## სპორტი

# ჭადრაკი

**ევროპის** სპორტის კვირეულის ფარგლებში, 22 ოქტომბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების სამსახურის ორგანიზებით, ჭადრაკის ადგილობრივი ჩემპიონატი გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

მუნიციპალიტეტის მერის სახელით თითოეულ მათგანს სერტიფიკატი გადაეცა.

ევროპის სპორტის კვირეული 2018 წლიდან ტარდება და წელს, რიგით მეოთხე კვირეულის ფარგლებში, პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, სპორტული ღონისძიებები შეზღუდულად იმართება.



# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

## იზეიმეს შემოდგომის ხვავ-ბარაქა

**მეორე** წელია თითქოს ვეღარ ვგრძნობთ მაძღარი შემოდგომის მოსვლა-წასვლას. პანდემიამ, რომელმაც მსოფლიო მოიცვა, თითქმის დაგვავიწყა წელიწადის ამ ყველაზე ლამაზი და სიხარულის მომტანი დროის შესაფერისად აღნიშვნა, მაგრამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღმზრდელ პედაგოგებმა და თანამშრომლებმა მაინც მოახერხეს და ბავშვებს „შემოდგომის ზეიმი“ მართლაც ზეიმად უქციეს, ერთი ლამაზი დღე გაულამაზეს და მათთან ერთად კახური გულუხვობით წარმოადგინეს შემოდგომის ნობათი და შემოდგომის თანმდევი ტრადიციული თათარობაც იზეიმეს.

**სურათზე**: „შემოდგომა-2021“ ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.







# გამოსათხოვარი

### მაია გუგუტიშვილი



**სოფელ** გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აღმზრდელი **მაია გუგუტიშვილის** გარდაცვალების გამო. სიტყვები უძლურია იმ მწუხარების გამოსახატავად, რასაც თითოეული ჩვენგანი განიცდის ჩვენი სიცოცხლით სავსე, ღიმილიანი და საკუთარი პროფესიის მოსიყვარულე ადამიანის გარდაცვალებას.

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალებაც სიკვდილს არ ნიშნავს. სწორედ ეს ის მომენტია, როდესაც მაია ყოველთვის თითოეული ჩვენგანის გულში იცოცხლებს. მისი სპეტაკი სული ფრთებშესხმული მივა უფალთან. ყველაფერი იყო მასში: ლამაზი სული, მშვიდი ბუნება, პოზიტივით აღსავსე ძლიერი მეგობარი, აღსაზრდელებზე თავდაუზოგავი მზრუნველი.

მშვიდობით, მშვიდობით ჩვენო უსაყვარლესო მეგობარო!

უფალმა გაგინათოს სავალი გზები!

### მაია გუგუტიშვილი



ცხოვრებას აქვს ერთი საშინელი კანონი – წამიერება, რასაც ადამიანის სიკვდილი ჰქვია.

დრო ტკივილს „გააუფერულებს“, მაგრამ დატოვებს შავ ლაქას, რომელიც, რაც არ უნდა ეცადო, ვერ მოსპობ.

მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა ტრაგედია, რომელსაც მაია გუგუტიშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მაია სკოლამდელთა აღზრდის დიდი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი იყო. გაწონასწორებული, შინაგანი კულტურით გამორჩეული, პატარებისათვის თავდადებული, ასეთად ვიცნობდით მას. იგი 16 წელი ემსახურა პატარა გიორგიწმინდელების აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს.

ძალიან ძნელია მის ოჯახს, ახლობლებს, საბავშვო ბაღის თანამშრომლებს შეუმსუბუქო ეს დიდი ტკივილი.

რა საწყენია, როცა ასეთი ღირსეული ადამიანები ასე უბრალოდ მიდიან ამ ქვეყნიდან.

***საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება მოზიარეა ამ დიდი ტრაგედიის, ემშვიდობება საყვარელ თანამშრომელს და უფალს სთხოვს ნათელში დაამკვიდროს მისი სპეტაკი სული.***

# „ინფრასტრუქტურა-2021“

## ქ. საგარეჯო

**ე.წ** “ქურხულიაანთ უბნის” მიმდებარედ არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის არმირებული ცემენტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოები დასკვნით ფაზაშია.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულებაც 597 500 ლარს შეადგენს.





# ჩემპიონი ისევ ჩემპიონობს

## როგორც ერთ დროს, ახალგაზრდობაში








**1971** წელს მეორე დიდმა სიხარულმა დაისადგურა საგარეჯოელი **დავით და დალი კურდღელაშვილების** ტკბილ ოჯახში. უფროსი ვაჟის – სიმონის შემდეგ ოჯახს მეორე და ქუდბედიანი ვაჟიშვილი – მამუკა შეემატათ. ალბათ ძნელად მოიძებნებიან ქვეყანაზე მშობლები, თავიანთი შვილებისათვის საუკეთესო ბედი და მომავალი რომ არ სურდეთ, მაგრამ მაშინ რას წარმოიდგენდნენ მოსიყვარულე დედ-მამა, თუ რა სახელსა და დიდებას მოუტანდა მათი პირმში საკუთარ ოჯახს, საგარეჯოსა თუ მთლიანად საქართველოს. იზრდებოდა მშობლების მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოსილი მამუკა საგარეჯოს კოლორიტულ გალმაუბანში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ისტორიაში არ შესული, მაგრამ ხალხის ხსოვნაში დარჩენილი აქაური გმირი მოჭიდავეების, უბრალო მწყემსების, გუთნისდედების ფალავნობისა და ვაჟკაცობის ამბები და ოცნებობდა მათსავით სახელიანი მოჭიდავე დამდგარიყო. რატომაც არა! ამ უბანში არ დაიბადა და გაიზარდა ქართული და გნებავთ მსოფლიო ჭიდაობის კორიფე, მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი?! ესეც რომ არ ყოფილიყო, მის უფროს ძმას სიმონსაც ხომ მორგებული ჰქონდა მოჭიდავის ჩოხა და სახელოვნად ჭიდაობდა საგარეჯოს თუ თბილისის საჭიდაო არენებზე. ამის გამო იყო თანდაყოლილი ბედის წყალობა, ერთ მშვენიერ დღეს სავარჯიშოდ ქართულ და ჭიდაობა სამბოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს სამბოში, სსრკ შეიარაღებული ძალებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონს, სამბოში სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს როინ ყორღანაშვილს მიაკითხა. ასე შეხვდა ერთმანეთს ერთი უკვე სახელმოხვეჭილი და მომავალი გარეჯული ჭიდაობის მშვენება მწვრთნელისა და მოწაფის სახით.

ახლა უკვე ევროპისა თუ მსოფლიოს საჭიდაო არენებზე თავნასახელები ჩემპიონი ტკბილად იხსენებს თავისი ბავშვობის დროინდელ პირველ დიდ წარმატებას, როცა საგარეჯოს III საშუალო სკოლის მოსწავლე პირველად გახდა საქართველოს პირველობის გამარჯვებული და ჩემპიონი სამბოში. მაშინდელი თავისი წონითი კატეგორიაც ისევ ახსოვს – 32 კგ.

იმ დღიდან გაიხსნა მისთვის, მომავალი დიდი ფალავნისთვის, საქართველოს ჯერ პატარების, შემდგომ კი დიდების ნაკრების კარი, სადაც მისი მწვრთნელი როინ ყორღანაშვილზე არანაკლებ დამსახურებული მწვრთნელი ოლეგ იაძე გახლდათ. ასე დაიწყო ამ ნაკრების შემადგენლობაში **მამუკა კურდღელაშვილის** სპორტულმა მიღწევებმა, თუმცა არასოდეს დავიწყებია თავისი პირველი მწვრთნელი და მისი შეგონებები. მათი ღვაწლის დაფასება იყო ის, რომ 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის იგი დამაჯერებლად გახდა ოქროს მედლისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი. სულ რაღაც 2-3 წელიწადში 1994 წელს ხდება ჯერ ევროპის, შემდეგ მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი და II პრიზიორი მომდევნო, 1995 წელს გახდა მსოფლიო სტუდენტური ოლიმპიადის ჩემპიონი 1996 წელს ფინალურ შეხვედრაში წარუმატებლობამ შეუშალა ხელი გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი და მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

ჩვენებური ფალავნის სპორტულ ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1997 წელი, როცა გახდა ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

მამუკა კურდღელაშვილისათვის მეტი თუ არა არანაკლებ შედეგიანი აღმოჩნდა 1999 წელი. „ზედიზედ" მიყოლებით გახდა ევროპის მესამე პრიზიორი – მსოფლიო თასის და უმაღლესი, – მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მატარებელი. 2000 წელს მონაწილეობდა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. მომდევნო 2001 წელს გახდა მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი 2004 წელს, 33 წლის ასაკში ევროპის მეორე პრიზიორი ხდება, რითაც აგვიტრგვინებს თავის მონაწილეობას დიდ სპორტში, თუმცა მხოლოდ არ ჩამოშორებია სამბოსა და სპორტს. წლების განმავლობაში იყო კახეთის მხარის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, სადღეისოდ კი ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მთავარი სპეციალისტია და მომავალი გარეჯელი ფალავნების აღზრდა-დაფრთიანებას ემსახურება.

ახლა კი იმ მთავარი მიზეზის შესახებ, რამაც ჩვენებური მოჭიდავის ზემოხსენებული მკითხველისათვის კარგად,თუ ნაკლებად ცნობილი წარმატებები გაგვეხსენებინა. ეს გახლავთ მამუკა კურდღელაშვილის მიერ 50 წლის ასაკში, ვეტერანთა შორის ამასწინათ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, პორტუგალიაში მოპოვებული ჩემპიონის ტიტული 60 კგ წონით კატეგორიის ძიუდოისტთა შორის. ყველა, ვინც კი თვალს ადევნებდა, ანდა ნახა პორტუგალიის დედაქალაქში მის მიერ გამართული საფინალო შეხვედრა, არ შეიძლება აღტაცებული არ დარჩენილიყო გარეჯელი ფალავნის ახალგაზრდული შემართებითა და ოსტატობით ჩატარებული ჭიდაობით, თუ როგორ მოხერხებულად დაეუფლა ფრანგი მოწინააღმდეგის მარჯვენას და ასევე ოსტატურად, როგორც ჩვენთან საუბარში ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" დირექტორის მოადგილე ზვიად ჭიკაძემ აღნიშნა „სარეკლამო" ილეთით "დააგდო" ფრანგი ტატამზე. ამ კადრების ნახვაზე ძალიან გამიკვირდა, ასე მკლავს მოწინააღმდეგეს გამოუცდელი მოჭიდავეებიც არ ანებებენ - მეთქი,– ჩავურთე საუბარში.

– დიდ და საერთოდ სპორტში, თუ აკრძალულ ილეთებს არ ხმარობ, ყველა ხერხი მოდის. იმ ფრანგს ისე მოვაჩვენე თავი, ვითომ დაჭერილი მაჯის გათავისუფლება მინდოდა და ამით მოტყუებულმა რაც მოიმკო, ხომ ნახეთ.

– აბა რა, აბა რა! ჩემპიონის ტიტულსაც რომ თავი დავანებოთ, რომ წაგეგო იმ ფრანგთან, შენი მეუღლე რას გეტყოდა, – ლისაბონში იმიტომ წამომიყვანე და ამდენი ფული იმიტომ დახარჯე, რომ შენი დამარცხებისათვის გეყურებინებინაო! როგორც ერთ მანაველს დაემართა „კალობნობაზე" გამართულ ჭიდაობაში თავის ახლადშერთული პატარძლის თანდასწრებით. პაპაჩემი ბალია დაბახიშვილი თავის დროზე მანავის ერთ-ერთი გამორჩეული ფალავანი ყოფილა, ტანდაბალი და ჩადგმული, ფეხზე არ აყენებდა არც დიდს და არც პატარას. ჰოდა, რომ დაუნახავს ნახერხმოყრილ მოედანზე გამოსული დაბალი ტანის მოჭიდავე, ერთ ახლადდანიშნულ ბრგე მანაველს ცოლთან თავი მოუწონებია, ეხლა გადავალ „კრუგში" და მაგის სეირი ნახეო...

შემოატარა ჯაგრცხილის სახრით გაგანიერებულ წრეზე ერთხელ, მეორედ, ესეც მესამეო და თავმომწონე ფალავანს ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, გაიწელა გარმონი, აბაგუნდა დოლი... პაპაჩემმა ცოტა აცალა მეტოქეს, შემოატარა ჯაგრცხილის სახრით გაგანიერებულ წრეზე ერთხელ, მეორედ, ესეც მესამეო და ვითომ და მისი ეშინოდა, მოჭიდავეს განზე გაერიდა. მერე, ვიდრე ის გონს მოეგებოდა, უცებ ჩააფრინდა ატოტებულ მარჯვენაში, კისერზე წამოიგდო და თავმომწონე ფალავნის ბეჭებს პატარძლის ფეხებთან ააყენებინა ნახერხის კორიანტელი... ეს ამბავი აქ ქართული ანდაზის შესახსენებლად მოვიყვანე, რომ ზოგჯერ „ხერხი სჯობია ღონესა" და შენი ლისაბონში გამარჯვებით, კიდევ ერთხელ დაადასტურე ქართული სიბრძნის ჭეშმარიტება.

– ისე, ფრანგის გარდა კიდევ ვინ გეცილებოდა ვეტერანებში მსოფლიო ჩემპიონობაში და შემდეგ ისიც იმ ფრანგის გზას „გაუყენე"?

– სულ ჩემპიონატში სამი შეხვედრა მქონდა. შევხვდი ორ ფრანგს და ერთ ყაზახს. პირველი ეს უკანასკნელი იპონით დავამარცხე, შემდეგ კი ფრანგები ვაზარით და იპონით.

– მთელმა საქართველოს ნახა 50 წლის ასაკში პორტუგალიაში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსალოცად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ქართული ჭიდაობისა და სპორტის წარმომადგენლებისა და გულშემატკივრების დახვედრა. შენს მიერ მოპოვებულ ამ დიდ წარმატებაზე არანაკლებ შთამბეჭდავი და ორიგინალური იყო შენი ორი ვაჟისა და ამდენივე ქალიშვილის ორიგინალური დახვედრა „ჩვენი მამა მსოფლიო ჩემპიონია" – ამოვიკითხავდით მათ მკერდზე განთავსებულ წარწერაში. აქვე ორიოდე სიტყვით მათ შესახებ, რას საქმიანობენ, თუ გაჰყვა მამის კვალს მათგან რომელიმე, ახლა ჩვენ ხომ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ვაჟებთან ერთად ჭიდაობით ქალებიც არიან დაკავებული და ისიც ქართულ ისტორიას ბევრი ახსოვს, რომ ქართველ ქალებს წინა დროებშიც ღირსეულად უჭიდავიათ და ხმალიც უქნევიათ მამულის დასაცავად.

– მამუკას შვილები ყველა პატარები და სასკოლო ასაკის არიან. მათგან უფროსი, – ნიკოლოზი, ეს რამოდენიმე წელია ჩაება ჭიდაობაში, რაც მათი ოჯახისათვის ტრადიციაა. ალბათ იცით, რომ მამუკას გარდა ჭიდაობდნენ მისი უფროსი ძმა სიმონი, სამბოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ასევე უმცროსი ძმა, ტყუპისცალი გოჩა – საქართველოს სამგზის ჩემპიონი სამბოში. ნიკოლოზი 14 წლისაა და მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. შარშან ჭაბუკებში გამართულ საქართველოს პირველობაზე ვერცხლის მედალი აიღო და მისი ამ წარმატების შესახებ „გარეჯის მაცნეში" მკითხველებს რომ ვაუწყეთ, სწორედ მამუკას ვაჟია. ნიკოლოზი ნიჭიერი, მოწადინებული ბავშვია. წელს საქართველოს ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავა და თუ ასე გააგრძელა ვარჯიში, ალბათ მალე გაიმეორებს მამის შედეგებს,– ქებას არ იშურებს მის მიმართ ზვიად ჭიკაძე.. მომწონს და დასაფასებელია ის ძმობა და ურთიერთთანადგომა, რაც მამუკასა და მის ძმებს შორისაა და იშვიათობადაა ქცეული თანამედროვეობაში..

ძმობა და ოჯახიშვილობა ოჯახიშვილობად და მამუკა იმითაც არის ჩემპიონი, რომ ქვეყნას 4 შვილს უზრდის, რაც ასევე იშვიათობაა თანამედროვეობაშიც, ბევრი და განათლებული შვილი ხომ ქვეყნის სიძლიერის ქვაკუთხედია.

გაზეთის რედაქციის სახელით ნახევარი საუკუნის ვეტერან მსოფლიო ჩემპიონს ვულოცავ ყველა ამ სიკეთეს. აქამდე გარეჯელებს ჭიდაობაში თითქმის ყველა ის დიდი ჯილდო გვქონდა, რაც კი ქვეყანაზე არსებობს; გვყავდა და გვყვანან საქართველოს, ყოფილი სსრკ-ს, საერთაშორისო ტურნირების, ევროპის, მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, ***არ გვყავდა მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანებს შორის და მამუკა კურდღელაშვილის მეოხებით***, ამიერიდან ამ ტიტულითაც შეგვეძლება თავის მოწონება. დარჩა კიდევ ერთი – ვეტერანებში მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება. ლისაბონში მოპოვებული ჩემპიონობით მამუკას შესაძლებლობა აქვს ხელიდან არ გაუშვას ეს შანსი და ვუსურვებთ რომ ამ ტიტულითაც დაემშვენებინოს თავისი სპორტული მიღწევების კოლექცია. ამ ახლო მომავალშიც გაეხარებინოს ჭიდაობის გარეჯელი და ქართველი გულშემატკივრები ისე, როგორც გაგვახარა პორტუგალიაში მოპოვებული ჩემპიონობით.

*გივი დაბახიშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში".
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru